ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4727881

ნომერი: AR1714120

თარიღი : 22.10.2019

გაცემის თარიღი : 28.10.2019

გაცნობის თარიღი : 28.10.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 86;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 26 სექტემბრის № 4686482 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 22 ოქტომბერს №AR1714120 განაცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის

26 სექტემბრის № 4686482 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 26 სექტემბრის №4686482 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსნის ქუჩა №86-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.038.712), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო სამსახურის 2019 წლის 09 ოქტომბრის №4704292 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 09 ოქტომბრიდან 2020 წლის 09 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 26 სექტემბრის № 4686482 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად ითხოვს ცვლილების შეტანას ტექნიკურ – ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ: საცხოვრებელი ფართობად 2228.9კვ.მ-ის ნაცვლად 2225 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 495.5კვ.მ-ის ნაცვლად 484.7კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 488.3 კვ.მ-ის ნაცვლად 515.9კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 241.5 კვ.მ-ის ნაცვლად 48.2 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 455.0 კვ.მ-ის ნაცვლად 395.9კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (განცხადების რეგისტრაცია: N 882019741567; მომზადების თარიღი: 12/09/2019) ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსნის ქუჩა №86-ში №01.72.14.038.712 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,კ-3 დეველოპმენტი'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 430035927). 2019 წლის 07 აგვისტოს №AR1699413 განცხადებაზე წარმოდგენილია, შპს კ-3 დეველოპმენტი''ს დირექტორის ბექა ქავთარაძის მიერ გაცემული 2019 წლის 12 სექტემბრის მინდობილობა (რეგისტრაციის ნომერი: №191111209, რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის ირაკლი მაზიაშვილის წამომადგენლობას არქიტექტურის სამსახურში. შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დაეკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 26 სექტემბრის № 4686482 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საცხოვრებელი ფართობად დაფიქსირდეს 2225 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 484.7კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 515.9კვ.მ, დამხმარე ფართობად 48.2 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 395.9კვ.მ, საერთო ფართობად 4359კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 26 სექტემბრის № 4686482 ბრძანებით შეთანხმებული -2,500 და 0.000 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 22 ოქტომბერს №AR1714120 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 26 სექტემბრის № 4686482 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 26 სექტემბრის № 4686482 ბრძანებასან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge